



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი

შესავალი

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილი 2024-2027 საბიუჯეტო წლების ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ.

მთლიანობაში მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტს არ განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილებები, არ შეცვლილა ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები. 2024 წლიდან მისაღები დამატებითი რესურსით მინიმალურად, ინფლაციის შესაბამისად შესაძლებელია გაიზარდოს მიმდინარე ხარჯები, არსებული პარამეტრებით ზრდის ნაწილი მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებზე. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ბიზნესის გაძლიერებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2024-2027 წლებისთვის, 2022 წლის და მიმდინარე 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულებს მონაცემები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები საშუალოვადიან პერიოდში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით მომზადდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახელების წარმოდგენილი პროგნოზები. ამასთან, საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები და ვალდებულებები, ყველა ის სოციალური და ინფრასტრუქტურული დაპირება რაც გაცემულია მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მიერ.

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული - მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის მხარეში. 1927 წლამდე ახლანდელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორია სიღნაღის მაზრაში შედიოდა. 1930 წლიდან ჩამოყალიბდა ცალკე რაიონად. აღმოსავლეთით ესაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკა, დასავლეთით — ყვარლის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით — დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა, სამხრეთით საზღვრავს სიღნაღისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ფართობია 890,2 კმ². ტერიტორიის 38 979 ჰა მოდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, რაც შეადგენს მთლიანი ტერიტორიის 44%-ს. ტყეებს უკავია 41 162 ჰა (46%).

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურაა 13°C. ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 650 მმ-იდან 1080 მმ-მდე. აქაური კლიმატისთვის დამახასიათებელია სეტყვა და გვალვა. მაღალმთიან ნაწილებში განვითარებულია ზომიერად ნოტიო ჰავა, იცის ცივი ზამთარი და გრილი ზაფხული, ნალექების წლიური მოცულობა კი 1200-1800 მმ-ს აღწევს.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი მდიდარია ზედაპირული და გრუნტის წყლებით. მთავარ ჰიდროგრაფიულ ქსელს ქმნის მდინარე ალაზანი, რომელიც ჩამოედინება გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების საზღვარზე. სხვა მდინარეებიდან აღსანიშნავია კაბალი, მაწიმისწყალი ლაგოდეხისწყალი, არეში და აფენისხევი.

2023 წლის მდგომარეობით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 40 900 კაცს, აქედან ქალაქში ცხოვრობს 5200 კაცი, ხოლო სოფლად ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 86% (35200 კაცი). მუნიციპალიტეტში 68 დასახლებაა, აქედან 1 ქალაქია და 67 სოფელი. მოსახლეობის სიმჭიდროვეა 58 კაცი/კმ², რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67 კაცი/კმ²) ოდნავ ჩამოუვარდება.

სამწუხაროდ საქართველოში არ არსებობს სტატისტიკა მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლისა მუნიციპალიტეტების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ გვიხდება ნაკლებად ავლწეროთ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობა და პირდაპირ განვიხილავთ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებს.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2023 წლის მონაცემების მიხედვით				
დასახელება	მოსახლეობა	ფართობი (კვ.კმ)	შემოსავლები (ათას ლარებში)	გადასახდელები (ათას ლარებში)
სულ საქართველო (ნაერთი)	3,736,400.00	69,700.00	20,805,000.00	23,856,000.00
კახეთის რეგიონი	306,200.00	11,310.00	224,681.07	318,167.71
ლაგოდეხი მუნიციპალიტეტი	41,678.00	890.20	35671.6	41504.8
პროცენტი საქართველოსთან	1.12	1.28	0.17	0.17
პროცენტი რეგიონთან	13.61	7.87	15.87	13.04

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2024-2027 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2024-2027 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასვე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი
I. შემოსავლები	27,855.2	34,036.9	34,934.4	21,907.7	23,247.3	24,750.1	26,534.8
გადასახადები	13,728.9	17,105.4	18,898.4	20,373.9	21,806.2	23,382.1	25,106.8
გრანტები	13,007.4	15,288.7	14,091.6	348.8	356.1	278.0	308.0
სხვა შემოსავლები	1,118.9	1,642.7	1,944.4	1,185.0	1,085.0	1,090.0	1,120.0
II. ხარჯები	11,034.4	12,850.8	21,284.2	17,511.3	19,202.5	20,540.0	21,906.0
შრომის ანაზღაურება	1,548.1	2,385.8	3,167.0	3,060.0	3,640.0	3,950.0	4,290.0
საქონელი და მომსახურება	1,491.0	2,446.9	3,167.7	2,658.0	3,057.0	3,182.0	3,299.0
პროცენტი	38.4	38.4	27.2	27.0	18.0	7.0	-
სუბსიდიები	5,040.2	6,505.7	8,014.2	9,995.3	10,624.0	11,392.0	12,202.0
სოციალური უზრუნველყოფა	597.9	627.5	739.3	747.0	801.5	882.0	930.0
სხვა ხარჯები	2,243.0	728.4	5,988.0	854.0	892.0	957.0	1,015.0
III. საოპერაციო სალდო	16,820.8	21,186.0	13,650.2	4,396.4	4,044.8	4,210.1	4,628.8
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	15,400.2	19,011.0	19,399.0	5,405.8	3,960.4	4,162.9	4,618.8
ზრდა	16,599.4	20,030.2	20,136.2	5,705.8	4,020.4	4,262.9	4,618.8
კლება	1,199.3	1,019.2	737.1	300.0	60.0	100.0	-
V. მთლიანი სალდო	1,420.6	2,175.0	- 5,748.8	- 1,009.4	84.4	47.2	10.0
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	1,346.3	2,100.7	- 5,833.2	- 1,093.8	-	-	-
ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	-	-	-	-
კლება	- 1,346.3	- 2,100.7	5,833.2	1,093.8	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	- 1,346.3	- 2,100.7	5,833.2	1,093.8	-	-	-
VII. ვალდებულებების ცვლილება	-74.3	- 74.3	-84.4	-84.4	- 84.4	-47.2	- 10.0
კლება	74.3	74.3	84.4	84.4	84.4	47.2	10.0
საშინაო	74.3	74.3	84.4	84.4	84.4	47.2	10.0
სესხები	74.3	74.3	84.4	84.4	84.4	47.2	10.0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	-	-
VIII. ბალანსი	- 0.0	0.0	0.0	0.0	- 0.0	- 0.0	- 0.0
მუნიციპალიტეტის ხარჯების ზრდის პროცენტული მაჩვენებელი		16.5	65.6	- 17.7	9.7	7.0	6.7

2.2 გასული 2022 წლის და მიმდინარე 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულება

2022 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) და ნაშთის ცვლილების გეგმა განისაზღვრა 38,095.9 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 38721.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 101%-ი.

ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 34,676.7 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 35,056.0 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 101 პროცენტით.

ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია 34,036.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (33,831.7 ათასი ლარი) 101 პროცენტია. მათ შორის:

გადასახადების სახით მობილიზებულია 17,105.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 16,515.0 ათასი ლარის 104 პროცენტია. აკუმულირებული თანხის უდიდესი ნაწილი დამატებითი ღირებულების გადასახადზე მოდის. დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებული შემოსავალმა შეადგინა 14,726.9 ათასი ლარი, ქონების გადასახადიდან მიღებულია 2,378.5 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 1,137.7 ათასი ლარი, მიწის გადასახადი - 1227.6 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 13.3 ათასი ლარი.

გრანტების სახით მიღებულია 15,288.7 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 624.2 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერი - 10,778.9 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე) 3,811.8 ათასი ლარი და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 73.8 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 1,642.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 1,324.3 ათასი ლარის 124%-ია.

ათასი ლარი

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები									
დასახელება	2022 წლის გეგმა		2022 წლის დაზუსტებული გეგმა			2022 წლის ფაქტი			2022 წლის შესრულება %
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	
შემოსავლები	15,503.8	15,503.8	33,831.7	19,096.8	14,734.9	34,036.9	19,372.3	14,664.5	101%
გადასახადები	14,558.8	14,558.8	16,515.0	16,515.0	-	17,105.4	17,105.4	-	104%
გრანტები	255.0	255.0	15,992.4	1,257.5	14,734.9	15,288.7	624.2	14,664.5	96%
სხვა შემოსავლები	690.0	690.0	1,324.3	1,324.3		1,642.7	1,642.7		124%

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2022 წელს მობილიზებული იქნა 1,019.2 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 403.9 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან 615.3 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობების 2.9 პროცენტს შეადგენს.

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის თანხამ შეადგინა 3 665 086 ლარი, მათ შორის: ადგილობრივი სახსრების ნაშთი 2 856 144 ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის ნაშთი 808 942 ლარი, რომელიც გაიწერა ხარჯებში და დაზუსტდა წლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილებების დროს.

ხოლო წლის დასასრულისთვის არსებულმა ნაშთმა შეადგინა 5 765 763 ლარი, მათ შორის საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი ნაშთის ოდენობა შეადგენს 1 720 667 ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობებიდან დარჩენილი ნაშთის ოდენობა შეადგენს 4 045 096 ლარს.

2022 წელს გადასახდელების საკასო შესრულების - 87%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 32,955.4 ათას ლარს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიღარა:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 3,294.6 ათასი ლარი;
- ✓ სამოქალაქო თავდაცვა – 119.9 ათასი ლარი;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა – 13,332.7 ათასი ლარი;
- ✓ გარემოს დაცვა – 1,466.2 ათასი ლარი;
- ✓ საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 6,594.7 ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა – 227.4 ათასი ლარი;
- ✓ დასვენება, კულტურა და რელიგია – 2,504.5 ათასი ლარი;
- ✓ განათლება – 4,059.8 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური დაცვა – 1,281.2 ათასი ლარი.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურა ფუნქციონალურ კრილში(ათას ლარებში)

დასახელება	2022 წელი	
	ათასი ლარი	პროცენტი
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3,294.6	10.0
თავდაცვა	119.9	0.4
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	-	-
ეკონომიკური საქმიანობა	13,332.7	40.5
გარემოს დაცვა	1,466.2	4.5
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	6,594.7	20.1
ჯანმრთელობის დაცვა	227.4	0.7
დასვენება და კულტურა და რელიგია	2,504.5	7.6
განათლება	4,059.8	12.3

სოციალური დაცვა	1,281.2	3.9
სულ ხარჯები	32,881.0	

2022 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 32,955.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (38,095.9 ათასი ლარი) 87%-ია. მათ შორის:

- ✓ 01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 3488.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (4113.7 ათასი ლარი) 85%-ია.
- ✓ 02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება - 19847.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (23602.5 ათასი ლარი) 84%-ია.
- ✓ 03 00 დასუფთავება და გრემოს დაცვა - 1546.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (1737.3 ათასი ლარი) 89%-ია.
- ✓ 04 00 განათლება -4059.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (4121.3 ათასი ლარი) 99%-ია.
- ✓ 05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2504.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (2936.5 ათასი ლარი) 85%-ია.
- ✓ 06 00 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1508.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (1584.6 ათასი ლარი) 95%-ია.

2022 წელს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის პროგრამებით ჯამში ისრგებლა 2312 -მა ბენეფიციარმა, რისთვისაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო 1281.2 ათასი ლარი, მათ შორის:

- ✓ ჰემოდიალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვის პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 69.8 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 31-მა ბენეფიციარმა.
- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 116.4 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 380 -მა ბენეფიციარმა.
- ✓ სამედიცინო კვლევების, სტაციონალური მომსახურების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 349.2 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 872-მა ბენეფიციარმა.
- ✓ უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 54.5 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 83-მა ბენეფიციარმა.
- ✓ სტუდენტების დახმარების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 105.5 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 186 -მა ბენეფიციარმა.
- ✓ მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 113.0 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 140 -მა ბენეფიციარმა.
- ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა (დეენილთა) დახმარების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 11.5 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 60 -მა ბენეფიციარმა.
- ✓ ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 3.7 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 15-მა ბენეფიციარმა.
- ✓ მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 43.5 ათასი ლარი, პროგრამით 31-მა ბენეფიციარმა.
- ✓ უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის თბობის სეზონთან დაკავშირებით ელექტროენერჯის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსების

პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 42.2 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 400-მა ბენეფიციარმა.

- ✓ ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 0.5 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 1-მა ბენეფიციარმა.
- ✓ სარიტუალო მომსახურეობის პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 2.0 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 5 ბენეფიციარმა.
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე (პირველი ჯგუფი) პირთა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა (18 წლამდე ასაკის) დახმარების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 47.7 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 113 -მა ბენეფიციარმა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებებიდან განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ✓ 19 გზის/ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი.
- ✓ ქუჩის კეთილმოწყობის 1 პროექტი (გამწვანება, ბორდიურების მოწყობა).
- ✓ გზის მოხრეშვის 8 პროექტი.
- ✓ მუზეუმის რეაბილიტაციის 1 პროექტი
- ✓ 2 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია.
- ✓ გარე განათების ახალი ხაზობრივი ნაგებობის მოწყობის 7 პროექტი.
- ✓ სანიაღვრე არხების მოწყობის 9 პროექტი.
- ✓ ჭაბურღილის მოწყობის 3 პროექტი.
- ✓ სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობის 11 პროექტი.
- ✓ სკვერების მოწყობის 19 პროექტი.
- ✓ 1 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.
- ✓ 12 სპორტული ობიექტის მოწყობა/რეაბილიტაცია.
- ✓ ხიდის რეაბილიტაციის 2 პროექტი.
- ✓ ნაპირსამაგრი გაბიონების მოწყობის 15 პროექტი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 5 აპრილის N 604 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ფარგლებში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზარალებულ 11 ოჯახს გადაეცა სახლის სახურავის შეცვლისათვის საჭირო სამშენებლო მასალები, ასევე განხორციელდა 1 ხუთ სართულიანი კორპუსის და 1 სოფლის ამბულატორიის დაზიანებული სახურავის შეცვლა თუნუქის ახალი სახურავით.

პროექტის ღირებულებამ ჯამში შეადგინა 166 737 ლარი.

- სესხების მომსახურებასა და ვალების დაფარვაზე მიმართულ იქნა 111.2 ათასი ლარი.

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის ოდენობამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 176.4 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის მაჩვენებლები

მუნიციპალიტეტის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 37,696.0 ათას ლარს. ბიუჯეტის შემოსავლების სახით 2023 წლის 9 თვის მონაცემებით მობილიზებულია 28237.7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 74.9%-ია, მათ შორის:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ 9 თვეში შეადგინა 13495.1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 72.8%-ია;

გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 7137.6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (11,044.4 ათასი ლარი) 64.6 %-ია, აქედან: სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 557.8 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით - 6579.8 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 1673.7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (1860.0 ათასი ლარი) 90 %-ია, მათ შორის: პროცენტების სახით მიღებულია 448.0 ათასი ლარი, რენტის სახით მობილიზებულია 162.9 ათასი ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 207.4 ათასი ლარი, სანქციები (ჯარიმები და საურავები) 560.7 ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულია 294.7 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივები რეალიზაციიდან მობილიზებულია 603.9 ათასი ლარი, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 302.8 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან 294.5 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან 6.7 ათასი ლარი.

2023 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 5765.8 ათასი ლარი. ხოლო 9 თვეში ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების გამოყენებამ შეადგინა 5327.3 ათასი ლარი.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2021–2023 წლის შემოსულობების შესახებ (ათას ლარებში)			
	2021 წლის 9 თვე	2022 წლის 9 თვე	2023 წლის 9 თვე
გადასახადები	9373.8	11961.8	13495.1
ქონების გადასახადი	823.9	1296.1	1335.7
სხვა გადასახადები	8549.9	10665.7	12159.4
გრანტები	5372.5	7137.0	7137.6
სხვა შემოსავლები	691.4	1096.6	1673.7
შემოსავლები საკუთრებიდან	235.9	479.9	610.8
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	112.8	204.3	207.4
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	175.1	360.5	560.7

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	167.6	51.9	294.7
არაფინანსური აქტივების კლება	920.3	845.2	603.9
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	257.0	307.5	302.8
შემოსულობა არაწარმოებლური აქტივების (მიწის) გაყიდვიდან	661.3	537.8	294.5
შემოსულობა მატერიალური მარაგების გაყიდვიდან	2.0	0	6.7
ფინანსური აქტივების კლება	2318.6	2866.7	5327.3
სულ შემოსულობების ჯამი	18676.6	23907.4	28237.7

2023 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 9 თვის განმავლობაში მიმართულ იქნა 22295.6 ათასი ლარი (წლიური გეგმის 37,696.0 ათასი ლარის 59.1%-ი). მათ შორის:

- ✓ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2754.2 ათასი ლარი;
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება – 12695.1 ათასი ლარი;
- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვა – 1391.4 ათასი ლარი;
- ✓ განათლება – 3231.7 ათასი ლარი;
- ✓ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი – 1353.8 ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 869.3 ათასი ლარი;

▪ 2023 წელს 9 თვის განმავლობაში სოციალური დაცვის პროგრამებზე მიიმართა 748.2 ათასი ლარი, მათ შორის:

- ✓ ჰემო დიალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვა 54.4 ათასი ლარი;
- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა 117.4 ათასი ლარი;
- ✓ სამედიცინო კვლევებისა და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა 289.3 ათასი ლარი.
- ✓ უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსების პროგრამა 54.4 ათასი ლარი.
- ✓ სტუდენტების დახმარების პროგრამა 40.0 ათასი ლარი.
- ✓ მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვების უზრუნველყოფის პროგრამა 74.6 ათასი ლარი.
- ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა 9.2 ათასი ლარი.
- ✓ ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა 4.5 ათასი ლარი.
- ✓ მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 38.3 ათასი ლარი.
- ✓ უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის თბობის სეზონთან დაკავშირებით ელექტროენერჯის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსების პროგრამა 1.0 ათასი ლარი.
- ✓ 100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა 0.5 ათასი ლარი.
- ✓ სარიტუალო ხარჯისათვის გახარჯულია 6.0 ათასი ლარი.
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დახმარების პროგრამა 37.3 ათასი ლარი.

✓ მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა 21.4 ათასი ლარი.

▪ 2023 წელს 9 თვის განმავლობაში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის გახარჯულია 12695.1 ათასი ლარი, გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს ცენტრალური და შიდაკვარტალური გზების მდგომარეობა;

▪ სესხის მომსახურებასა და ვალის დაფარვაზე მიიმართა 52.3 ათასი ლარი.

▪ მერის ბრძანებებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გახარჯული თანხის ოდენობამ შეადგინა 22 525 ლარი.

თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

თვითმმართველი ერთეული ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2024-2027 წლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით ლაგოდეხის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპალიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება ისეთი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სერვისების მიღებაზე.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

2023 წლის განმავლობაში შემუშავდა 2024 – 2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ❖ წარმომადგენლობითი და ღმასრულებელი ხელისუფლება;
- ❖ ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ❖ განათლება;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი
გადასახდელები სულ	27,708.1	32,955.4	41,504.8	23,301.5	23,307.3	24,850.1	26,534.8
ინფრასტრუქტურის განვითარება	14,706.4	19,847.4	19,772.8	8,058.8	6,740.4	7,077.9	7,573.8
დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,277.2	1,546.2	2,622.6	2,105.7	2,150.0	2,260.0	2,330.0
განათლება	4,726.0	4,059.8	4,863.9	4,795.7	5,250.0	5,700.0	6,200.0
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,663.4	2,504.5	2,192.0	1,803.2	1,845.0	1,935.0	2,010.0
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,835.4	1,508.6	6,861.0	1,590.7	1,692.5	1,863.0	1,994.0
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	2,499.7	3,488.9	5,192.5	4,947.4	5,629.4	6,014.2	6,427.0

ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მომდევნო 4 წლის განმავლობაში პრიორიტეტის ფარგლებში კვლავ გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მივიღებთ მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ ინფრასტრუქტურას.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	მიმდინარე პროგრამა/ქვე პროგრამა	ახალი პროგრამა/ქვე პროგრამა	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	✓		14,706.4	19,847.4	18,972.1	8,058.8	6,740.4	7,077.9	7,573.8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	✓		9,131.0	12,455.7	11,284.8	480.0	877.1	1,474.8	1,982.3
02 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება	✓		0.0	0.0	63.6	0.0	250.0	250.0	250.0
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	✓		9,126.8	12,314.6	11,141.2	400.0	547.1	1,144.8	1,652.3
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	✓		4.2	141.1	80.0	80.0	80.0	80.0	80.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	✓		1,678.1	1,035.3	525.4	2,942.3	828.0	933.1	986.5
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	✓		74.3	82.7	115.0	142.1	150.0	160.0	170.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის	✓		1,603.8	952.6	410.4	2,800.2	678.0	773.1	816.5

	მოწყობა-რეაბილიტაცია									
02 03	გარე განათება	✓		872.5	1,064.4	1,360.1	1,395.9	1,505.0	1,535.0	1,580.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	✓		173.4	218.2	317.5	335.9	345.0	360.0	400.0
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	✓		699.0	846.2	1,042.6	1,060.0	1,160.0	1,175.0	1,180.0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	✓		0.0	90.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების მშენებლობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	✓		0.0	90.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 04 02	ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	✓		0.0	0.0	-	-	-	-	-
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	✓		610.5	696.2	497.2	275.0	275.0	275.0	275.0
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	✓		551.1	280.4	217.2	25.0	25.0	25.0	25.0
02 05 02	საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-პატრონობა	✓		0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 05 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	✓		59.4	415.8	280.0	250.0	250.0	250.0	250.0
02 05 04	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	✓		0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 05 05	სასაფლაოს მოვლა-პატრონობა	✓		0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები	✓		1,178.6	877.0	2,501.6	1,200.0	1,200.0	1,200.0	1,200.0
02 07	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	✓		797.7	3,423.3	2,263.1	250.3	270.0	300.0	300.0
02 08	საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	✓		438.1	205.1	540.0	370.0	400.0	400.0	400.0
02 09	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	✓			0.0	687.0	1,145.3	1,385.3	960.0	850.0
02 09 01	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები	✓			0.0	687.0	515.3	695.3	200.0	0.0
02 09 02	მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება		✓		0.0	0.0	630.0	690.0	760.0	850.0

დასუფთავება და გარემოს დაცვა

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უმეტესაწარმოოდ დარჩენილ ცხოველებზე ზრუნვა.

პროგრამული კოდი	დასახელება	მიმდინარე პროგრამა/ქვე პროგრამა	ახალი პროგრამა/ქვე პროგრამა	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	✓		1,277.2	1,546.2	2,622.6	2,105.7	2,150.0	2,260.0	2,330.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	✓		999.9	1,089.0	1,334.5	1,782.9	1,800.0	1,880.0	1,930.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	✓		109.8	140.7	178.0	222.8	250.0	280.0	300.0
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	✓		116.3	236.6	1,010.1	0.0	0.0	0.0	0.0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	✓		51.2	80.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა.

პროგრამული კოდი	დასახელება	მიმდინარე პროგრამა/ქვე პროგრამა	ახალი პროგრამა/ქვე პროგრამა	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი
04 00	განათლება	✓		4,726.0	4,059.8	4,863.9	4,795.7	5,250.0	5,700.0	6,200.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	✓		2,747.0	3,640.8	4,328.0	4,795.7	5,250.0	5,700.0	6,200.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	✓		1,409.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 03	განათლების ღონისძიებები	✓		569.8	419.0	535.9	0.0	0.0	0.0	0.0

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

პროგრამული კოდი	დასახელება	მიმდინარე პროგრამა/ქვე პროგრამა	ახალი პროგრამა/ქვე პროგრამა	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	✓		1,663.4	2,504.5	2,137.0	1,803.2	1,845.0	1,935.0	2,010.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	✓		510.6	208.9	621.6	366.0	385.0	415.0	440.0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	✓		32.0	50.2	88.2	341.0	360.0	385.0	400.0
05 01 02	წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება	✓		1.1	12.9	20.0	25.0	25.0	30.0	40.0
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	✓		477.5	145.8	513.5	0.0	0.0	0.0	0.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	✓		1,146.3	2,263.5	1,488.4	1,329.0	1,350.0	1,405.0	1,450.0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	✓		613.3	917.9	1,109.9	947.5	960.0	985.0	1,010.0
05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	✓		192.4	253.9	288.5	341.5	350.0	380.0	400.0
05 02 03	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	✓		300.7	1,051.7	50.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	✓		40.0	40.0	40.0	40.0	40.0	40.0	40.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	✓		6.4	32.1	26.9	53.2	55.0	60.0	65.0
05 04	„ლაგოდების მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოების ინიციატივების“ დაფინანსება/თანადაფინანსება	✓		1,663.4	2,504.5	2,137.0	1,803.2	1,845.0	1,935.0	2,010.0

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

პროგრამული კოდი	დასახელება	მიმდინარე პროგრამა/ქვე პროგრამა	ახალი პროგრამა/ქვე პროგრამა	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	✓		2,835.4	1,508.6	6,861.0	1,590.7	1,692.5	1,863.0	1,994.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	✓		140.2	227.4	180.0	227.7	235.0	260.0	290.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	✓		132.4	144.3	180.0	227.7	235.0	260.0	290.0
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია	✓		7.8	83.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02	სოციალური დაცვა	✓		2,695.2	1,281.2	6,681.0	1,363.0	1,457.5	1,603.0	1,704.0

06 02 01	ჰემო დიალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვა	✓		29.8	69.8	75.0	80.0	90.0	105.0	110.0
06 02 02	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	✓		143.2	116.4	190.0	249.0	275.0	312.0	345.0
06 02 03	სამედიცინო კვლევებისა და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	✓		288.9	349.2	400.0	425.0	450.0	500.0	530.0
06 02 04	უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსების პროგრამა	✓		48.0	54.5	75.0	78.0	82.0	85.0	90.0
06 02 05	სტუდენტების დახმარების პროგრამა	✓		11.0	105.5	125.0	140.0	140.0	150.0	160.0
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა	✓		104.6	113.0	132.5	160.0	180.0	190.0	200.0
06 02 07	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	✓		12.3	11.5	14.5	16.0	16.0	16.0	16.0
06 02 08	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	✓		4.1	3.7	5.0	6.0	7.0	9.0	12.0
06 02 09	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	✓		31.3	43.5	60.0	60.0	60.0	70.0	75.0
06 02 10	უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის თბობის სეზონთან დაკავშირებით ელექტროენერჯის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება	✓		36.4	42.2	50.0	50.0	50.0	50.0	50.0
06 02 11	100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა	✓		0.5	0.5	3.0	3.0	3.0	4.0	4.0
06 02 12	სარიტუალო ხარჯი	✓		2.7	2.0	8.0	8.0	8.0	8.0	8.0
06 02 13	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დახმარების პროგრამა	✓		31.9	47.7	73.0	78.0	86.5	94.0	94.0
06 02 14	მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა	✓		1,950.5	321.6	5,460.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 15	სოციალური მიზნის მქონე პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება	✓		0.0	0.0	10.0	10.0	10.0	10.0	10.0